ა(ა)იპ „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ა(ა)იპ დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფომრაცია 5
2. მომზადების საფუძველი 5
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 6
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება 7
5. შემოსავალი შემოწირულობებიდან 8
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 8
7. კაპიტალის მართვა 8
8. სამართლიანი ღირებულებები და ფინანსური რისკის მართვა 8
9. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 9

ECOVIS®
ATA FINANCE

ტელ:+995 032 243 22 81
ელ.ფოსტა:tbilisi@ecovis.ge
მის: აფაქიძის ქუჩა #5,
ტიფლის ბიზნეს ცენტრი,
თბილისი,საქართველო 0160

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ა(ა)იპ „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი“-ს დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ ა(ა)იპ „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი“-ს (შემდგომში ასევე ფონდი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ა(ა)იპ „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *“აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”* - ნაწილში. ჩვენ ვართ ფონდისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

ა(ა)იპ „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი“-ს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც არამოდიფიცირებული მოსაზრება გამოთქვა ამ ანგარიშგების შესახებ 2024 წლის 28 მარტს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფონდის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ფონდს განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია ფონდის ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ფონდის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ა(ა)იპ „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

ECOVIS®
ATA FINANCE

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ფონდის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ფონდის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ფონდი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)

28 მარტი, 2025

თბილისი, საქართველო.

ECOVIS®
ATA FINANCE

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ფონდის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ფონდის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ფონდი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)

28 მარტი, 2025

თბილისი, საქართველო.

ა(ა)იპ „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	**2024**	**2023**
შემოსავალი შემოწირულობებიდან	5	909,345	693,571
სულ შემოსავალი		**909,345**	**693,571**
ბენეფიციართა დაფინანსების ხარჯები		(861,413)	(747,000)
სხვა ხარჯები		(4,292)	(6,458)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		**43,640**	**(59,887)**
საპროცენტო შემოსავალი		13,473	19,929
უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული წმინდა ამონაგები		(364)	(1,252)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**56,749**	**(41,210)**
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		**56,749**	**(41,210)**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 28 მარტს:

დავით მამულაიშვილი
გენერალური დირექტორი

5-10 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ავანსები		653	653
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	258,934	202,185
სულ მიმდინარე აქტივები		**259,587**	**202,838**
სულ აქტივები		**259,587**	**202,838**
კაპიტალი და ვალდებულებები			
მიზნობრივი დაფინანსება	7	259,587	202,838
სულ კაპიტალი		**259,587**	**202,838**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**259,587**	**202,838**

5-10 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	მიზნობრივი დაფინანსება	სულ
31 დეკემბერი 2022	**244,048**	**244,048**
მიმდინარე წლის სრული ზარალი	(41,210)	**(41,210)**
31 დეკემბერი 2023	**202,838**	**202,838**
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	56,749	**56,749**
31 დეკემბერი 2024	**259,587**	**259,587**

5-10 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
შემოწირული ფულადი სახსრები	909,345	693,571
ბენეფიციართა დაფინანსება	(861,413)	(747,000)
გადახდილი ბანკის საკომისიო	(4,292)	(6,458)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან	**43,640**	**(59,887)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან		
მიღებული პროცენტი	13,473	19,929
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან	**13,473**	**19,929**
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(364)	(1,252)
წმინდა (კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში წლის განმავლობაში	**56,749**	**(41,210)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**202,185**	**243,395**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**258,934**	**202,185**

5-10 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. კორპორატიული ინფომრაცია

ა(ა)იპ „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი“ (რეგისტრაციის ნომერი - 402093051) დაფუძნდა როგორც არაკომერციული ორგანიზაცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, 2018 წლის 9 ივლისს. ფონდმა საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი მიიღო საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, 2020 წლის 13 აპრილს.

ძირითადი საქმიანობა. ფონდის ძირითადი მიზნებია საქართველოს შეიარაღებული ძალების დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების, ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება უმაღლესი განათლებისა და პროფესიული გადამზადების კურსების დაფინანსებით/თანადაფინანსებით; სამედიცინო დახმარების გაწევა ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; სხვა სახის მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

ფონდის საქმიანობა სს "სილქნეტისა" და სხვადასხვა დაკავშირებული და მესამე მხარეების მიერ ფინანსდება.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. ფონდის რეგისტრირებული იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილია წინამძღვრიშვილის ქუჩა #93/95. თბილისი, საქართველო.

დამფუძნებლები. ფონდის დამფუძნებლები არიან სს "სილქნეტი" (რეგისტრაციის - ნომერი 204566978), საქართველოში სატელეკომუნიკაციო ინდუსტრიის ერთ-ერთი წამყვანი კომპანია, პაატა პატიაშვილი და დავით მამულაიშვილი.

ფონდის მმართველ ორგანოს საბჭო წარმოადგენს. საბჭოს წევრები არიან გიორგი რამიშვილი, ალექსი თოფურია და დავით მამულაიშვილი.

ფონდის გენერალური დირექტორია დავით მამულაიშვილი.

საქართველოს ბიზნეს გარემო. ფონდი საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ფონდის საქმიანობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ერთეულ ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ფონდის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერგამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს სტანდარტები) სრულ შესაბამისობაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ფონდი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ფონდისთვის.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

მიმდინარე წელს ფოდნმა გამოიყენა საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შემდეგი შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

- საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება);
- ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად, კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ის შესწორება);
- მიმწოდებლის ფინანსები (ცვლილება ბასს 7-სა და ფასს 7-ში);

აღნიშნული ცვლილებების გამოყენებას არ ჰქონია რაიმე საგრძნობი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულ თანხებზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

უცხოური ვალუტა. ლარი არის ფონდის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფონდი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

შემოსავალი შემოწირულობებიდან

სს "სილქნეტის“, სხვა დაკავშირებული მხარეების და მესამე მხარეების საქველმოქმედო შემოწირულობები არის უპირობო და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მაშინ როდესაც ფონდი მიიღებს დაფინანსებას.

ბენეფიციართა დაფინანსების ხარჯები

ბენეფიციართა დაფინანსების ხარჯები წარმოადგენს საქველმოქმედო განაცემებს და მასთან დაკავშირებულ გადასახადებს, რომელსაც ფონდი იხდის ბენეფიციარის ნაცვლად. ბენეფიციართა დაფინანსების ხარჯები ბენეფიციარების სასარგებლოდ, სამედიცინო დახმარების, პროფესიული გადამზადების კურსებისა და სხვა სახის დახმარების გაწევის მიზნით განხორციელებული, მრავალი განაცემისგან შედგება და აღიარდება მათი ბენეფიციარებზე გადაცემისთანავე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი მიღებით 2020 წლის აპრილიდან, ფონდზე გავრცელდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი საქველმოქმედო

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ორგანიზაციის საქმიანობისთვის დადგენილი შეღავათები, შესაბამისად, ფონდი გათავისუფლებულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადებისაგან მის ძირითად საქმიანობასთან მიმართებაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულადი სახსრების ნაშთებს და ვადიან ანაბრებს, რომელთა დაფარვის ვადა არის სამი თვე ან ნაკლები შეძენის თარიღიდან. მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი არა-არსებითია.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება მის მოგებაზე ან ზარალზე დარიცხვისთანავე, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების წარმოდგენილ ოდენობებზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ასევე ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შენიშვნაში 3 - შემოწირულობებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება.

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობები, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებების გამოწვევის მნიშვნელოვანი რისკის წინაშე დგანან.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ფონდის გარკვეული სააღრიცხვო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას.

სამართლიანი ღირებულებები ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიებში გამოყენებული ინფორმაციის საფუძველზე:

- *დონე 1:* კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- *დონე 2:* შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- *დონე 3:* მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი

4. შეფასებისა და მსჯელობის გამოყენება (გაგრძელება)

ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია მე-8 შენიშვნაში.

5. შემოსავალი შემოწირულობებიდან

ფონდის შემოსავალი შედგება სს "სილქნეტისგან" და სხვა იურიდიული და ფიზიკური პირებისგან მიღებული შემოწირულობებისგან.

	2024	2023
სს "სილქნეტის" შემოწირულობები	781,355	311,924
მესამე მხარეების შემოწირულობები	127,990	376,147
სხვა დაკავშირებული მხარეების შემოწირულობები	-	5,500
სულ შემოსავალი შემოწირულობებიდან	**909,345**	**693,571**

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნამდე დეპოზიტები	226,521	-
ბანკში არსებული ფულადი სახსრები	32,413	202,185
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**258,934**	**202,185**

ფონდის დაქვემდებარება საბანკო ნაშთებთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე წარმოდგენილია მე-8 შენიშვნაში.

7. კაპიტალის მართვა

ფონდის საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ფონდს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა.

ფონდი არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

8. სამართლიანი ღირებულებები და ფინანსური რისკის მართვა

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფონდის ფინანსურია ქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

ფინანსური რისკის მართვა. ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო ფონდი ძირითადად საკრედიტო რისკს ექვემდებარება. ფონდის საქმიანობის ხასიათის გათვალისწინებით, რომ ფონდი არსებითად არ ექვემდებარება ლიკვიდურობის და საბაზრო რისკებს.

რისკის მართვის სტრუქტურა. ხელმძღვანელობას აქვს ზოგადი პასუხისმგებლობა ფონდის რისკის მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

ფონდის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკის მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება

8. სამართლიანი ღირებულებები და ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ბაზრის პირობებისა და ფონდის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. ფონდის საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ფონდი არსებითად არ ექვემდებარება ლიკვიდურობის და საბაზრო რისკებს.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი წარმოადგენს ფონდის ფინანსური ზარალის რისკს, თუ ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაგენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშვება საბანკო ნაშთებიდან.

საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო დაქვემდებარებას. მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე, საანგარიშგებო თარიღისთვის, იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ბანკში არსებული ფულადი სახსრები	32,413	202,185
მოთხოვნამდე დეპოზიტები	226,521	-
სულ	**258,934**	**202,185**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ძირითადად განთავსებულია ერთ ქართულ ბანკში და ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს კონტრაგენტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი.

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურება შეფასდა 12-თვიანი მოსალოდნელი ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარებების მოკლე ვადიანობას. ფონდი მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი და რომ ფასს 9-ის გავლენა არის არა-არსებითი. ფასს 9-ის მიხედვით, გაუფასურების ზარალი არ ყოფილა აღიარებული ფონდის 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

9. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე. ფონდის დამფუძნებლები არიან სს "სილქნეტი", პაატა პატიაშვილი და დავით მამულაიშვილი. ფონდის ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ.

შემოსავალი შემოწირულობებიდან

	2024	2023
სს "სილქნეტის" შემოწირულობები	781,355	311,924
სხვა დაკავშირებული მხარეების შემოწირულობები	-	5,500
სულ	**781,355**	**371,424**

ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებული მხარის ფინანსურ ინსტიტუტთან

	2024	2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	258,844	202,142
საპროცენტო შემოსავალი	13,473	19,929

9. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

სხვა სარგებელი. ფონდს არ ჰყავს საკუთარი თანამშრომლები. პერსონალის ხარჯებს გასწევს და იხდის სს„სილქნეტი“. პროფესიული მომსახურების ხარჯებს აფინანსებს სს "სილქნეტი".